ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური
მე-4 კლასი

I სავარჯიშო: არსებითი სახელის რაობა და ჯგუფები,ნაცვალსახელები .
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

1. რომელ წინადადებაშია მესამე პირის ნაცვალსახელი?
   ა) მე მიყვარს მუსიკა. ბ) ისინი ბევრს ერთობიან. გ) შენ თოჯინა მაჩუქე?

2. რამდენი სულიერი არსებითი სახელია წინადადებაში:
   „ ბედნიერი მაგდანი და ზურაბი სიყვარულით შეჰყურებდნენ ქეთოს.“
   ა) ერთი ბ) სამი გ) ოთხი

3. სწორი ფორმით ჩასვი ნაცვალსახელი!
   „ ..... კაცი რაღაც არ მომწონს, მუდამ იბღვირება და ბრაზობს. ..... ვცდილობ, რომ მისგან თავი შორს დავიჭირო.“
   ა) ეგ, მე, ბ) ის, შენ გ) ეს, ის

4. რამდენი საკუთარი სახელია წინადადებაში:
   „ სესე, დათა და საბა მდინარეზე სათევზაოდ წავიდნენ.“
   ა) ორი ბ) ოთხი გ) სამი
5. რამდენი უსულო არსებითი სახელია წინადადებაში?
   „ ურმის ხმამ ზამთრის ცივი ჰაერიც კი გაამხიარულა.“
   ა) ოთხი ბ) ორი გ) სამი
6. ტექსტში რამდენ სიტყვას დაესმის კითხვა <u>რა?</u>
   „ მერცხალი მოფრინდა და საკუთარ ჭერს მიაკითხა, მაგრამ ბუდე აღარ დახვდა. დაღონდა, თუმცა მალევე ახალი ბინა ააშენა და ბარტყებიც გამოჩეკა.“
   ა) სამ სიტყვას ბ) ოთხ სიტყვას გ) ხუთ სიტყვას

7. რამდენი არსებითი სახელია წინადადებაში:
   „მხიარული ფეფო მიუყვებოდა ქუჩას.“
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

8. რომელ წინადადებაშია სწორად გამოყენებული ნაცვალსახელი?
   ა) ჩვენ გვიყვარს ზოოპარკის ბინადართა დათვალიერება.
   ბ) მან იციან კარგი სიმღერები.
   გ) ეგ საინტერესო ამბები იცის.
   რომელ წინადადებაშია კუთვნილებითი ნაცვალსახელი?
   ა) შენ ძალიან გაგიმართლა.
   ბ) ისინი ბედნიერები იყვნენ.
   გ) მათი საარაკო ამბავი ყველამ გაიგო.
9. ჩასვი ტექსტში შესაბამისი პირის ნაცვალსახელები!
   „ ..... და ჩემი მეგობრები დიდხანს ვოცნებობდით კონკურსში მონაწილეობაზე და ეს დღეც დადგა. ..... ყველა იმედით გვიყურებდა. წარმატება მოვიპოვეთ და ..... გვილოცავდნენ.

ა) მათ, ჩვენ, ისინიც ბ) ისინიც, თქვენ, მე გ) მე, ჩვენ, ისინიც

II სავარჯიშო: მსგავსი და საპირისპირო სიტყვები.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

10. რომელია ხაზგასმული სიტყვის მსგავსი მნიშვნელობის მქონე?
„დედინაცვლის ავი ქალიშვილი მუდამ ემტერებოდა ობოლ მართას.“
ა) ანჩხლი ბ) ამაყი გ) გონიერი
11. რომელია ხაზგასმული სიტყვის მსგავსი მნიშვნელობის მქონე?
„მეტად ჩუმი გოგონა იყო ბარბარე.“
ა) ძლიერი ბ) ზომიერი გ) წყნარი
12. რომელია ხაზგასმული სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე?
„მეჩხერი ტყე დილის მზის სხივებით განათებულიყო.“
ა) წვიმიანი ბ) დაბურული გ) მზიანი
13. როგორი სიტყვებია: და-ძმა, დიდ-პატარა, ასე-ისე?
ა) ერთნაირი მნიშვნელობის
ბ) საპირისპირო მნიშვნელობის
გ) სხვადასხვა მნიშვნელობის
14. როგორი სიტყვებია: ჭკვიანი-გონიერი, საძაგელი-საშინელი?
ა) ერთნაირი მნიშვნელობის
ბ) საპირისპირო მნიშვნელობის
გ) სხვადასხვა მნიშვნელობის

III სავარჯიშო: ზმნა და ზმნის დროები.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

15. ზმნის კითხვებია:
ა) რას შვრება? სად? ბ) რას შვრება? რას აკეთებს? რა მდგომარეობაშია?
გ) რა მდგომარეობაშია? რა?
16. რომელ დროშია მოქმედება წინადადებაში:
„კომბლე იჯდა და კომბლებს თლიდა.“
ა) ახლანდელ დროში ბ) წარსულ დროში გ) მომავალ დროში
17. რომელ დროშია მოქმედება წინადადებაში:
„ვგალობ და ვგალობ და იმით ვხარობ, რომ ჩემს ქვეყანას გალობით ვატკბობ!“
ა) ახლანდელ დროში ბ) წარსულ დროში გ) მომავალ დროში
18. რომელია სწორი ფორმა?
ა) არტყავს ბ) არტყამს გ) დაარტყავს
19. რომელ წყვილშია სწორად დაწერილი ზმნა?
ა) ტოროლები გალობდენ ბ) ბავშვები ამღერდნენ გ) ბეღურები ზიან